



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
1 აგვისტო, 2016


ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2016 წლის ივნისში რეალური მშპ-ს ზრდამ 2.9%, ხოლო 2016 წლის მეორე კვარტლის საშუალო ზრდამ 3.1% შეადგინა. ამასთან, 2016 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკა 2.9%-ით გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი ფისკალური და მონეტარული მონაცემების საფუძველზე იანგარიშება.

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2016 წლის ივნისში წლიურად 11.1%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდა 8.2% იყო) და 16.4 მლრდ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2016 წლის ივნისში წლიურად 13.5%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით ზრდა 10.7% იყო) და 14.3 მლრდ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში უმოქმედო სესხები 3.7%-ს გაუტოლდა (წინა თვესთან შედარებით 0.1%-ული პუნქტით დაიკლო).

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2016 წლის 27 ივლისს რეფინანსირების განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით შეამცირა 6.75%-მდე. 2016 წლის ივნისში წლიური ინფლაცია მოსალოდნელზე მეტად შემცირდა და 1.1% შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად დაბალია 5.0%-იან მიზნობრივ მაჩვენებელზე. აღნიშნული დიდწილად, ინფლაციური მოლოდინების შემცირებითა და საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის და სურსათის შემცირებული ფასების გადმოცემით არის განპირობებული. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ინფლაციის მიზნობრივ დონეზე დასახლოვებლად საჭიროა გაგრძელდეს გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივი გამოსვლის პროცესი და მოსალოდნელია რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი საშუალოვადიან პერიოდში 6%-მდე შემცირდეს (თუ ეკონომიკაზე მოქმედი სხვა ფაქტორები არ გამოიკვეთა). ეროვნული ბანკის მიმდინარე პროგნოზით ინფლაცია მომდევნო კვარტლებში დაბალ დონეზე შენარჩუნდება და მიზნობრივ მაჩვენებელს 2017 წლის ბოლოს დაუახლოვდება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2016 წლის 7 სექტემბერს გაიმართება.

უმოქმედო სესხები




წყარო: სტატ

ეკონომიკური ინდიკატორები

	6M16	2015	2014
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.9%	2.8%	4.6%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	9,566	9,209
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,743	3,676
მოსახლეობა (მლნ)	3.7*	3.7**	4.5
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.1%	4.9%	2.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.9	2.5	2.7
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	13.1%**	11.8%	10.6%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.8%	3.0%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	41.5%	35.5%

წყარო: ეკონომიკური მონაცემები
*მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები
**2016 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი
შენიშვნა: 2016-ს ზრდა მოცემულია წინასწარი შეფასებით

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში, 2016

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №24 (რეგიონის ლიდერი)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №23 (მირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POOR'S BB- სტაბილური დადასტურებული მაისი-2015	Moody's INVESTORS SERVICE Ba3 სტაბილური დადასტურებული მარტი-2016	FitchRatings BB- სტაბილური დადასტურებული აპრილი-2016
--	---	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 650 მლნ ლარის (277.2 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

სადეპოზიტო სერტიფიკატები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 182-დღიანი, 20 მლნ ლარის (8.5 მლნ აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები გაყიდა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 6.44% შეადგინა (22 საბაზისო პუნქტით ნაკლები წინა განთავსებასთან შედარებით).


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2016 წლის 27 ივლისს 1-წლიანი 30 მლნ ლარის (12.8 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 6.598% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2016 წლის 3 აგვისტოს, სადაც 2-წლიანი 30 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემები

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სებ
შენიშვნა: ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2016 წლის 7 სექტემბერს შედგება.

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სებ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაციები (BGEOLN) დაიხურა 5.9%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 100.6. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციებით (GEOROG 05/17)-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით - 101.9 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 4.4%-იანი შემოსავლიანობით და (GEOROG 04/21)-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 104.1 (-0.5% წინა კვირასთან შედარებით, 5.7%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაციები (GRAIL) ივაჭრებოდა 111.6 ფასად (+0.1% წინა კვირასთან შედარებით), 5.4%-იანი შემოსავლიანობით.


საქართველოს სუვერენული ევრობლიგაციები (GEORG) დაიხურა ფასით - 111.2 (-0.3% წინა კვირასთან შედარებით), 4.2%-იანი შემოსავლიანობით.

ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ევრობლიგაციების ბაზარი



წყარო: ბლუმბერგი

	ადგილობრივი ობლიგაციები					ევრობლიგაციები				
	Nikora 03/18	GWP 11/17	M2RE 03/17	EVEX 05/17	GLC 09/17	GEOROG 04/21	GEOROG 05/17	BGEOLN 07/23	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	5	6*	20	15	10	250	250	350	500	500
გამოშვების თარიღი	03/16	12/15	03/15	05/15	09/14	აპრ-2016	მაი-2012	ივლ-2016	აპრ-2011	ივლ-2012
დაფარვის თარიღი	03/18	12/17	03/17	05/17	09/17	აპრ-2021	მაი-2017	ივლ-2023	აპრ-2021	ივლ-2022
კუპონი, %	11.00	15.00**	9.50	9.50	8.75	6.750%	6.875%	6.000%	6.875%	7.750%
Fitch/S&P/ Moody's	-/-	BB-/-	-/-	-/-	-/-	BB-/-	BB-/B+	BB-/B1	BB-/BB- /Ba3	BB-/BB-/-
საშუალო ფასი, აშშ \$	100.0	100.0*	101.6	101.87	100.65	104.1	101.9	100.6	111.2	111.6
საშუალო პროცენტი %	11.0	15.0	7.75	7.75	8.25	5.7	4.4	5.9	4.2	5.4
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	n/a	456.6	280.7	461.7	301.5	432.7

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 11/17 მოცემულია ლარში

** მცურავი კურსი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7.5%)

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევრობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba3	111.2	4.2	301.5
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB+/-/Ba1 /-	101.4	4.5	319.9
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB/-/-	120.2	0.8	-240.7
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Ba2	104.8	3.0	300.3
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BB+/BB+/Ba1	114.7	3.0	192.6
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	119.6	2.9	177.3
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB+/Ba1	106.8	3.1	198.1
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BBB-/NR/Baa3	106.6	4.1	294.5

წყარო: ბლუმბერგი



აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 27.31 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (-0.18% წინა კვირასთან შედარებით და +9.68% გასულ თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 254 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 26.75 – 28.20 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 52 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე ნაკლებია. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან მოიმატა 1.78%-ით ხოლო წინა თვესთან მოიმატა 8.01%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.64% შეადგინა.

თიბისი ბანკის (TBCB LI) აქციები დაიხურა 13.20 აშშ დოლარში (-1.49% წინა კვირასთან შედარებით და უცვლელი წინა თვესთან შედარებით). ბანკის გლობალური სადებოზიტო ხელწერილებით (GDR) ვაჭრობის მოცულობამ 46 ათასს გადააჭარბა, US\$ 13.20 – 13.20 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 33 ათასი აქცია შეადგინა, რაც მეტია გასული თვის შესაბამის მონაცემთან შედარებით.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 3.06 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (+1.28% წინა კვირასთან შედარებით და +5.52% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 145 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.00 – 3.30 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 24 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.05% შეადგინა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე საქართველოს ბანკის აქციები ივაჭრებოდა 37.00 ლარად (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), ლიბერთი ბანკის აქციები ივაჭრებოდა 0.015 ლარად (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით) და თელიანი ველის აქციები ივაჭრებოდა 0.18 ლარად (+38.5% წინა კვირასთან შედარებით). შედეგად გალტ ენდ თაგარტის ინდექსმა მოიმატა და 842.35-ს გაუტოლდა.

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
BGEO*	BGEO	36.26	1,432	8.1%	8.3%	43.6%	12.1%	15.0%
TBC	TBC	13.20	661	0.0%	25.7%	46.7%	4.8%	34.8%
Halyk Bank	HSBK	4.80	1,319	6.5%	33.3%	14.3%	-43.5%	-40.1%
KKB	KKB	1.59	634	0.0%	6.0%	76.7%	-58.2%	-47.0%
VTB Bank	VTBR	1.98	12,837	-5.2%	-7.5%	5.3%	-13.9%	-17.7%
Vozrozhdie nie Bank	VZRZ	9.66	229	-3.9%	22.6%	41.1%	31.0%	-2.8%
Sberbank	SBER	8.70	46,957	-0.9%	8.5%	58.5%	114.8%	77.9%

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *BGEO ივაჭრება ბრიტანული ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)


ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.
GHG*	GHG	4.06	535	4.0%	43.2%	64.3%	nm
Mouwasat	MOUWASAT	34.79	1,740	2.0%	0.8%	15.7%	5.8%
Fortis	FORH	2.57	1,192	9.8%	-2.4%	-2.2%	46.5%
Raffles	RFMD	1.17	2,048	5.8%	0.8%	23.4%	19.8%
IHH	IHH	1.62	13,327	-0.5%	-3.2%	2.4%	17.6%
Bangkok Chain	BCH	0.38	939	6.7%	27.6%	62.7%	56.6%
Netcare	NTC	2.31	3,383	11.3%	-9.0%	9.6%	-29.6%


წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *GHG ივაჭრება ბრიტანული ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში (US\$)


BGEO ჯგუფი (BGEO LN)



თიბისი ბანკი (TBCB LI)



საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)





მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მოთხოვნილი თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge